ამხანაგობა „ახალი ღრმაღელის“ ID ნომერი 200172384 თავმჯდომარის გადაწყვეტილება N13/03-01

ქ. თბილისი
13.03.2018წ.

ამხანაგობა „ახალი ღრმაღელე“ ID ნომერი 200172384, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის შპს „ჯორჯიან ჰაუზ პლუსის“ (ს.კ. 400014471) დირექტორის ბადრი ლომთათიძის (პ/ნ 01024032167) სახით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ამხანაგობა „ახალი ღრმაღელის“ (ს/ნ 200172384) 2013 წლის 05 მაისის წესდების მესამე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე

გადავწყვიტე :

1) მიენიჭოს შპს „ჯორჯიან ჰაუზ პლუსს“ (ს/ნ400014471) უფლებამოსილება ობიექტზე, რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემებია: ს/კ 01.12.07.010.044, მისამართი: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N23ა, ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი: 5816.0 კვ.მ. განახორციელოს პროექტის კორექტირება, შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება არსებულ პროექტში, შეათანხმოს ახალი პროექტი არქიტექტურის სამსახურში, აიღოს მშენებლობის ნებართვა კორექტირებული პროექტის მიხედვით, იყოს დამკვეთიც და შემსრულებელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ნომერ AR1578611 განცხადებით წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტთან დაკავშირებით. ასევე, განახორციელოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება ზემოაღნიშნული მშენებარე ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
2) წინამდებარე გადაწყვეტილების შესრულება დაევალოს შპს „ჯორჯიან ჰაუზ პლუსის“ დირექტორს ბადრი ლომთათიძეს (პ/ნ 01024032167).
3) წინამდებარე გადაწყვეტილება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, აქედან ერთი წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მეორე რჩება ნოტარიუს, ხოლო მესამე -ამხანაგობის თავმჯდომარეს.

ამხანაგობა „ახალი ღრმაღელის“ თავმჯდომარე
შპს „ჯორჯიან ჰაუზ პლუსის“ დირექტორი

ბადრი ლომთათიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180261496
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.03.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიამ ნავროზაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #23ა, კომერციული ფართი #45 , ბლოკი "გ", II სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	598270730
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	10796710511218

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ცამეტ მარტს მე, ნოტარიუს მარიამ ნავროზაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი „გ“, II სართული, მომმართა ბატონმა ბადრი ლომთათიძემ. მან წარმოადგინა ამხანაგობა „ახალი ღრმაღელე“-ს /საიდენტიფიკაციო კოდი: 200172384/ თავმჯდომარის გადაწყვეტილება 3 /სამი/ ეგზემპლიარად და მოითხოვა მასზე თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბადრი ლომთათიძემ (დაბ. 03.04.1951წელს ოზურგეთში, პირადი №01024032167, მცხოვრები ქ. თბილისი, ბერბუკის ქ. №10, ბ. 52) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. ამის შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე, რომ ნოტარიუსი ამოწმებს გადაწყვეტილებაზე ხელისმოწერის ნამდვილობას და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე და მასში მოყვანილ ფაქტებზე. ასევე განვუმარტე სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-2 თავის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლითაც ნოტარიუსს არ ეკისრება პაუსხისმგებლობა წინამდებარე გადაწყვეტილების კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო. რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი გადაწყვეტილებას, რასაც ვამოწმებ.

სამი ეგზემპლარისთვის გადახდილია 8,00 (რვა) ლარი - აქედან: სანოტარო საზღაური 6,00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი მარიამ ნავროზაშვილი